

ინტერვიუ

ლადო პაპავა - მთავრობას ვურჩევდი, მომავალში, ვიდრე რამეს გაახმოვანებს, ბიზნესის წარმომადგენლებსაც დაელაპარაკოს და ეკონომისტებზეც ნუ იქნებიან აცრილები

15:02 03-12-2016



ლარის კურსის რეკორდული ვარდნის მიზეზებზე, "ლარის დედოლარიზაციის" მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივ გეგმაზე, მთავრობის ეკონომიკურ პროგრამასა და იმაზე, სავარაუდოდ, რა კარდინალური ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, "ინტერპრესნიუსი" პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

- ბატონო ლადო, ლარის კურსის ვარდნა ისტორიულ რეკორდებს ხსნის. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ვარდნა პანიკასა და ლარის ფასით სპეკულაციას უკავშირდება. ხელისუფლების ოპონენტების მტკიცებით, ხალხი ვერ გაერკვა დედოლარიზაციის სამთავრობო გეგმაში და ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა დადოს ცვლილებების წერილობითი პროექტი და მოხსნას გაურკვევლობით გამოწვეული პანიკა. დღემდე დედოლარიზაციის გეგმის წერილობით დოკუმენტს მზის სინათლე არ უნახავს. თქვენი აზრით, რამდენად იმოქმედა ლარის კურსის უპრეცედენტო ვარდნაზე მთავრობის "დედოლარიზაციის გეგმა"?

- ჯიუტი ფაქტია, სწორედ ე.წ. დედოლარიზაციის გეგმის გამოცხადებამ ისე, რომ დოკუმენტი ფიზიკურად არ არსებობდა, გარკვეული გაუგებრობა და გაურკვევლობა შექმნა. გაჩნდა ბევრი კითხვა, რომელზედაც პასუხები არ იყო. ასეთ ვითარებაში, რაც უფრო იზრდება გაურკვევლობა, მით უფრო იზრდება უნდობლობა ეროვნული ვალუტის მიმართ. ამან გამოიწვია გარკვეული პანიკური ქმედება. რა თქმა უნდა, მთავრობის მიერ გახმოვანებული, მაგრამ შეუთანხმებელი და დაუზუსტებელი "დედოლარიზაციის გეგმა" უშუალო კავშირშია ლარის კურსის ვარდნასთან.

საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეჩვიოთ, რომ უნდა შეწყდეს არარსებული დოკუმენტების პრეზენტაცია. ეს მავნე პრაქტიკა 2004 წლიდან "ნაცმოდრობის" ხელისუფლებამ დაამკვიდრა და სამწუხაროდ, მას დღეს "ქართული ოცნების" ხელისუფლება აგრძელებს. ამ პროცესის დაწყება აწგანსვენებულ ზურაბ ჟვანიას უკავშირდება, როცა მან მოახდინა არარსებული საგადასახადო კოდექსის

პროექტის პრეზენტაცია: არსებობდა საპრეზენტაციო მასალა და არ არასებობდა საგადასახადო კოდექსი. მას შემდეგ ამგვარ პრაქტიკას "ნაციონალები" იყენებდნენ. ახლა კი დღევანდელი მთავრობა აგრძელებს.

ასეთ ქმედებებს, რა თქმა უნდა, მოჰყვება ის, რაც ახლა ხდება. პრეზენტირებულ ე.წ. გეგმაზე ვერ მოძებნეს პასუხები ვერც საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა, ვერც ექსპერტებმა. იყო დიდი გაუგებრობა იმიტომ, რომ იყო ძალიან ბევრი კითხვა, და ამის გამო შიშიც. ამ კითხვებზე პასუხის არარსებობის ვითარებაში გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ბანკებისთვის შესაძლოა იძულებით დაევალებინათ ლარიზაციის პროგრამის განხორციელება, რაც ბანკებს კიდევ უფრო ძვირი დაუჯდებოდათ. მათ კი, თავის მხრივ დაიწყეს თავდაცვითი ღონისძიებების გატარება.

როცა სავალუტო ბაზარზე არის დაბნეულობა, ლარის კურსი ყოველთვის ეცემა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ, მთავრობის ამგვარი განცხადებები უნდა იყოს მოზომილი და, რაც მთავარია, შეთანხმებული.

- ბანკების თემას ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით "დედოლარიზაციის გეგმასთან" დაკავშირებით, რომელიც ერთჯერადი სოციალური პროექტია. ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია - "სესხების გალარების პროგრამა 2017 წლის 1 იანვრიდან დაიწყება და 2 თვე გაგრძელდება..." უკვე ცნობილია, რომ მთავრობა იპოთეკურ სესხს 33 ათას ადამიანს დაუფინანსებს, რის დასაფარადაც მომავალი წლის ბიუჯეტში 68 მილიონი ლარი ჩაიდება. ვის და რის ხარჯზე მოხდება იპოთეკური სესხების დაფინანსება და სავარაუდოდ, ვისი იპოთეკური სესხები დაიფარება?

- დავიწყეთ იმით, რომ შეფასება, - თითქოს ეს არის სოციალური პროექტი, არის შეცდომა. სოციალური პროექტები, როგორც წესი, ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის. ადამიანს, რომელსაც ბინა აქვს ან სახლი სესხით უკვე ნაყიდი და ახლა ჩვენ, სხვები უნდა შევხიდოთ, ეს რა სოციალური პროექტია? მაგალითისათვის ავიღოთ დამლაგებელი, რომელსაც აქვს ხელფასი 300 ლარი. ის ყოველთვიურად ბიუჯეტში იხდის გადასახადს 60 ლარს და ხელზე რჩება 240 ლარი. რა, ის უნდა შეეხიდოს მას ვისაც ბინა და სახლი დარჩება? იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ აუღიათ სესხები ბანკებისგან და ასეთები უმრავლესობაა, არც სახლები აუშენებიათ და არც ბინები, იმათ უნდა დაუფინანსონ სხვებს სესხების დაფარვა, ვინც ისარგებლა ბანკის სესხით? არა ბატონო, სესხების გალარების გეგმა არ არის სოციალური პროექტი. ეს ანტისოციალური პროექტია. მისი გადამხდელი კი მთლიანად საქართველოს მოსახლეობა იქნება. საქართველოში მარტო საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი არის სადღაც 900 ათასი ადამიანი, მათ შორის კი ისეთებიც, როგორც გითხარით, მცირეხელფასიანები, საშუალოხელფასიანები და მათი რაოდენობა უმრავლესობაა. მთავრობის გეგმით, ამ ხალხს დაეკისრება ის, რომ სხვა ადამიანებს სახლები და აგარაკები დარჩეს შედარებით იაფად. იმას მაინც ნუ ვიტყვით, რომ ეს სოციალური

პროექტია... გაჭირვებული და სოციალურად შეჭირვებული ადამიანები იმ 33 ათასისაგან განსხვავებით, ვისაც სესხის დაფარვა უჭირს, როგორც წესი, დოლარში სესხს უძრავი ქონებისათვის ვერ იღებს.

- ზოგიერთი ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში მთავრობას ურჩევს საერთოდ დაივიწყოს კონსულტაციები ბიზნესთან და ბანკებთან..., ან ბანკებს არავინ ეკითხება და არავინ არ უნდა ეკითხებოდეს თუ როგორ ფინანსურ პოლიტიკას ატარებს ქვეყანაში მთავრობა, ვინაიდან, ბანკები ძალიან დიდ გავლენას ახდენენ ლარის კურსზე და თუკი ეს არ მოიშალა, ვაჭრობის წესები არ შეიცვალა, თუკი ბანკები არ შეიზღუდა, ეს ღონისძიებები დარჩება ცაში გამოკიდებული. თქვენც ფიქრობთ, რომ მთავრობა არ უნდა ეკითხებოდეს ბანკებს თუ როგორ ფინანსურ პოლიტიკას გაატარებს იგი?

- ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. როგორ შეიძლება იმ სუბიექტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში ფინანსურ მდგრადობას, არ შეეკითხო. ბანკებზე დარტყმის მიყენება იგივეა, რომ ჩვენ საკუთარ თავს მივაყენოთ დარტყმა. ეტყობა ამას საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ ხვდება. ბანკებშია ჩვენი ანაზარები თუ ანგარიშები და ბანკს რომ სირთულე შეექმნას, საბოლოო ჯამში ხომ ჩვენ შეგვექმნება სირთულე.

მთავრობას არა მარტო ბანკებთან და ბიზნესწრებთან უნდა ჰქონდეს კონსულტაციები, არამედ მეცნიერ-ეკონომისტებთან. აშშ-დან დაწყებული ყველა სახელმწიფოში მიღებული ფორმაა ეკონომიკური საბჭოს არსებობა, სადაც არიან ნამდვილი პროფესიონალი ეკონომისტები, და არა ე.წ. ეკონომიკის ექსპერტები. ყველა მნიშვნელოვანი პროგრამა თუ პროექტი, სანამ მზის შუქს იხილავს, მანამდე გადის განხილვასა და შეჯერებას პროფესიონალებთან. მთავრობამ მეცნიერ-ეკონომისტებთანაც, ბანკებთან და მთლიანად ბიზნესთანაც აქტიურად უნდა ითანამშრომლოს.

ეკონომიკური საბჭოს არსებობა აუცილებელია, იმიტომ კი არა, რომ რასაც ბანკირები და ბიზნესმენები გეტყვიან, მაინცდამაინც მათ უნდა დაუჯეროს მთავრობამ. ამგვარი კონსულტაციები მთავრობისთვის იმისთვისაა საჭირო, რომ მან არსებული პრობლემები სხვანაირადაც დაინახოს. საბანკო სფეროს კი სჭირდება დარეგულირების გაუმჯობესება, უფრო გამკაცრებაა საჭირო არაპროფილური საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

- ზოგიერთი თქვენი კოლეგა ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ლარის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არ არსებობს. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ლარის გაუფასურება რამდენიმე ბანკირის გამდიდრების სურვილით იყოს განპირობებული?

- დღეს მსოფლიოში დოლარი მყარდება, ეს პროცესი გააძლიერა აშშ-ში ტრამპის გაპრეზიდენტებამ. მან აქცენტი აიღო აშშ-ის ეკონომიკის აღორძინებაზე. დღეს ამერიკული ეკონომიკა უფრო მიმზიდველი გახდა, რამაც გამოიწვია დოლარის

გამყარება და ლამისაა ევროს დაეწია. ეს ჩვენთვის ობიექტური პროცესია. მაგრამ, ის, რაც ჩვენთან ამ ბოლო დღეებში მოხდა, ეს იყო პანიკა.

მოდით ვიყოთ ობიექტურები - ბიზნესის საქმე ის არის, რომ მოგება იშოვოს და იშოვოს რაც შეიძლება სწრაფად და ადვილად. თუ ამაზე ვამბობთ უარს, მაშინ დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს და გვექონდეს მბრძანებლური ეკონომიკა, ავკრძალოთ ბიზნესი. თუ კაპიტალისტურ საზოგადოებას ვაშენებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალიზმის დროს ბიზნესმენებს უნდათ ფულის ადვილად შოვნა. მთავრობა იმიტომ ხარ, რომ გევალება ცოტა დაფიქრდე და ისეთი განცხადებები არ გააკეთო, რომელიც არასასურველი ქმედებების პროვოცირებას გამოიწვევს. ამ დღეებში მომიწია ტაქსით მგზავრობა. მძღოლმა მიცნო და გააბა ამ თემებზე ჩემთან საუბარი. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და ასეთი ფრაზაც კი მითხრა - "ჩვენმა მთავრობამ გააჰყვირაო!" თურმე, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ფრთოსანი გამოთქმაც კი შემოსულა - მისგან გავიგე. ამიტომ, მთავრობას მეტი გონიერება ესაჭიროება.

- თუ გაქვთ ინფორმაცია, ბოლო მონაცემებით, სავარაუდოდ, რამდენი აქვს შიგა ვალი სახელმწიფოს? მთავრობა აცხადებს, რომ შიგა ვალის საკითხი საგარეო ვალისაგან განსხვავებით პრობლემა არაა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ექსპერტებიც კი, სახელმწიფოს შიგა ვალის ოდენობასთან დაკავშირებით წუხილს გამოთქვამენ. სავარაუდოდ, ვისი ვალი აქვს სახელმწიფოს, იმ ბანკების ხომ არა, რომლებთანაც არ უნდა ათანხმებდეს მთავრობის საფინანსო პოლიტიკას?

- სახელმწიფოს საშინაო ვალი საგარეო ვალთან შედარებით მთელი ვალის 22%-ს შეადგენს. ასეთია სტატისტიკა, რომელსაც აქვეყნებს საქართველოს მთავრობა. შესაძლოა, ეს მონაცემები მოძველებულიც იყოს, ვინაიდან, სამწუხაროა, რომ ფინანსთა სამინისტროს ეს მონაცემები თავის ვებ-გვერდზე არ განუახლებია.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, სახელმწიფოს საშინაო ვალის ზრდა სულაც არ არის უწყინარი რამ. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1998 წელს რუსეთის დეფოლტი უმთავრესად სწორედ საშინაო ვალის გაბერვის გამო მოხდა, როდესაც საშინაო ვალის მომსახურებისა და გასტუმრებისათვის ახალი ვალუტის აღება ხდებოდა, რამაც გამოიწვია ფინანსური პირამიდის შექმნა და საბოლოოდ დეფოლტი. საშინაო ვალი საშიშ ზღვარზე მისული არ გვაქვს, თუმცა საშინაო ვალთან თამაში არ შეიძლება. როდესაც სახელმწიფო უშვებს ფასიან ქალაქებს, სესხულობს კომერციული ბანკებიდან. დიახ, მთავრობას ბანკების ვალი აქვს.

- მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ნავთობპროდუქტების, თამბაქოსა და სასმელის აქციზის ფასის გაზრდაზე. როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასი დაბალია და ძირითადად იკლებს, ჩვენთან ნავთობპროდუქტების, სასმელისა და თამბაქოს აქციზზე ფასის გაზრდა რას შეიძლება ნიშნავდეს? იმას ხომ არა რომ რეალური ეკონომიკის არარსებობის გამო ბიუჯეტის შევსება ჭირს?

- აქციზური გადასახადების გაზრდა, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ მთავრობა აპირებს 2017 წლის 1 იანვრიდან აამოქმედოს მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი, რომლის თანახმადაც ის ინვესტორი, რომელიც დააბრუნებს ფულს წარმოებაში, მოახდენს რეინვესტირებას, თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან. თავისთავად ეს იდეა ცუდი არ არის, მაგრამ საქართველოს სიკეთეს მაინც ვერ მოუტანს, იმიტომ რომ ჩვენთან რეინვესტირებული თანხები ექნება მხოლოდ იმ ბიზნესს, რომელიც ქვეყანაში ისედაც განვითარებულია. ესენია ისევ ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სათამაშო ბიზნესი, რესტორნები და სასტუმროები. ეს ქვეყნის ეკონომიკას ვერ განავითარებს. ყველა ამ ბიზნეს-სტრუქტურებს ყოველგვარი შეღავათის გარეშეც შეუძლია რეინვესტირება და გაფართოება.

ბევრად უკეთესი იქნებოდა თუ მთავრობა უბრალოდ კი არ გადმოიტანდა ესტონურ მოდელს, არამედ იგი შეეხებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორს, სადაც არის წარმოება, თანაც იმ პირობებში, თუ ეს რეინვესტირება მოხდებოდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. ამ აქციზური გადასახადების მომატება სწორედაც რომ ბიუჯეტში დანაკლის ემსახურება.

და ერთი რამ, რაც უნდა გვახსოვდეს ყველას - "ნაცმოდრობამ" კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც ახალი გადასახადის შემოღება და განაკვეთის გაზრდა, გარდა აქციზური საქონლისა უნდა მოხდეს მხოლოდ რეფერენდუმით. რეფერენდუმით გადასახადების განაკვეთის გაზრდა, ან ახალი გადასახადის შემოღება არის შეცდომა, იმიტომ რომ ასეთი რეფერენდუმის შედეგი წინასწარაა ცნობილი - იქნება უარყოფითი. მთავრობას ხელ-ფეხი აქვს შეკრული და მთელი დატვირთვა გადაიტანა აქციზური განაკვეთის გაზრდაზე.

ვურჩევდი მთავრობას, რადგან მას ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს, სასწრაფოდ გადმოიტანოს პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში რათა პარლამენტის ხარჯები მნიშვნელოვნად შეამციროს, და იმავდროულად კონსტიტუციიდან ამოიღოს გადასახადებზე რეფერენდუმის მოთხოვნა.

- ამ თემაზე მმართველი გუნდის წევრები ამტკიცებენ, რომ საწვავის გაძვირება სამომხმარებლო ფასზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან მოგების გადასახადი გაუქმებულია. უმრავლესობის წევრთა მტკიცება მთლად ლოგიკურად რომ არ გამოიყურება ცხადია, მაგრამ თუ რატომ, თქვენ მინდა გკითხოთ...

- ძალიან მარტივი რამაა - ჩვენ, ეკონომისტები პირველ კურსზე სტუდენტებს ვასწავლით ინფლაციის გამომწვევ მიზეზებს. ერთ-ერთი მიზეზი არის დანახარჯების გაზრდით გამოწვეული ინფლაცია. საწვავზე ფასი მომატება ეს არის დანახარჯების გაზრდით გამოწვეული ინფლაცია. არაეკონომისტებს ამას ინტერვიუთი ვერ ვასწავლით, მაგრამ მათ, ვისაც ეკონომიკური ცოდნა მოეთხოვებათ, ბოლოს და ბოლოს ეკონომიკური ფაკულტეტების პირველი კურსის სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში ჩაიხედონ.

- პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრძანა, რომ ეკონომიკური ზრდის მისაღწევად რადიკალური ნაბიჯები იქნება გადასადგმელი, მაგრამ როგორი, არ დაუკონკრეტებია. თქვენ როგორ შეაფასებდით მთავრობის ეკონომიკურ გეგმას?

- ის, რასაც ახლა მთავრობა ახორციელებს, ამას ეკონომიკური გეგმა არ ჰქვია. ჩემი შეფასება არაერთმნიშვნელოვანია - ერთი მხრივ ვუწონებ მთავრობას აქტიურ მოქმედებას, უნდა რომ სიტუაცია გამოასწოროს, მაგრამ იმავდროულად ვაკრიტიკებ იმაში, რომ არის გაუაზრებელი ნაბიჯები, არ არის კონსულტაცია ბიზნესთან და ეკონომისტებთან. ვურჩევდი, რომ მომავალში სანამ რამეს გაახმოვანებს, მანამდე ბიზნესის წარმომადგენლებსაც დაელაპარაკონ და ეკონომისტებზეც ნუ იქნებიან აცრილები.

- სავარაუდოდ, რა არაპოპულარული ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ, რომ უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური სფეროს მართვა ეფექტური გახდეს?

- მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს, ბოლოს და ბოლოს რა უნდა. თავად მაინც გაერკვეს იმაში, თუ როგორი ტიპის ეკონომიკის შენება უნდა. მთავრობას აქვს ერთი შესანიშნავი ინსტრუმენტი - "საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020". ეს იყო დოკუმენტი, რომელიც საკმაოდ გონივრულად არის დაწერილი და მასში აქცენტი გაკეთებულია ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის შექმნაზე. ეს დოკუმენტი მივიწყებულია. ამ დოკუმენტზე მთავრობა საერთოდ არ ლაპარაკობს. მთავრობა მხოლოდ 4-პუნქტიან გეგმაზე საუბრობს, რომელიც სევდიანი ღიმილის მომგვრელია. საქართველოს ეკონომიკა 4 პუნქტში ვერანაირად ვერ ჩაეტევა, მით უფრო, რომ ეს საერთოდ არ არის გეგმა. ესაა მთავრობის გარკვეული აზრით ბუნდოვანი სურვილები.

- დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს - "მთავრობის ეკონომიკური მიდგომების ერთობლიობა სიმშვიდის საფუძველს არ იძლევა, ვინაიდან დიდი საფრთხის შემცველია საუბარი რკინიგზისა და მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვაზე". რამდენად საფუძველიანია ბატონ სოსოს "შიშები"?

- ამ ეტაპზე ეს არ გამიგია, მაგრამ საფრთხე უკვე წლებია დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. ჯერ კიდევ სააკაშვილს უნდოდა მათი გაყიდვა. მთავრობას როცა უჭირს, სურს მსხვილი აქტივების გაყიდვა, რომ ამით ცოტა ამოისუნთქოს. ეს საფრთხე არის, მაგრამ მე სხვა რეალობაზე გავამახვილებდი ყურადღებას.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ რომ რუსული "ალფა-ბანკი" შემოდის საქართველოში. ეს არის ერთ-ერთი უძლიერესი ბანკი და მისი შემოსვლა საქართველოში საკმაოდ დასაფიქრებელია. იმიტომ რომ, იგი პრაქტიკულად არის ცნობილი რუსული პროექტის - "ლიბერალური იმპერიის" - განხორციელების ინსტრუმენტი რუსეთის ხელისუფლების ხელში.

საინტერესო რამეს გეტყვით - ელექტრონულ მედიაში გავრცელდა, რომ "ალფა-ბანკმა" საქართველოში უნდა შეიძინოს ის შენობა, რომელიც დღეს კავკასიის განვითარების ბანკს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი აზერბაიჯანული კომპანიაა. თურმე აზერბაიჯანული ბიზნესი უნდა ჩაანაცვლოს რუსულმა ბიზნესმა. რამდენადაც ვიცი, აზერბაიჯანულ წრეებში უკვე არის ძალიან დიდი შეშფოთება. აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია.

რუსული "ალფა-ბანკის" საქართველოში შემოსვლით გაიწირება აზერბაიჯანული ბიზნესი რუსულის სასარგებლოდ. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა, რასაც მთელი საზოგადოება ძვირად მოვიძვით. საქმე შეიძლება საერთაშორისო სკანდალამდეც მივიდეს... მართალია გუშინ წავიკითხე ბატონ კობა გვენეტაძის განცხადება, რომ მისთვის თურმე "ჯერჯერობით" "ალფა-ბანკს" არ მიუმართავს, მაგრამ მე სიტყვა "ჯერჯერობით" ნამდვილად არ მომეწონა.

თუ საუბარია იმაზე, რომ კავკასიური განვითარების აზერბაიჯანული ბანკის შენობა აუქციონზე უნდა გაიყიდოს, მაშინ წინასწარ ვინ რა იცის ვინ იქნება მყიდველი? ძალიან ცუდი სცენარი შეიძლება განვითარდეს. მე მაინც მიმაჩნია, რომ ბატონი კობა, რომელიც ოთხი თუ ხუთი წელი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი აზერბაიჯანში, ბაქოში, ფრთხილად მოეკიდება აზერბაიჯანულ ბიზნესს, გაითვალისწინებს იმას, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, არ შეუწყობს ხელს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების გაფუჭებას და არ გააგრძელებს საქართველოს რუსეთის "ლიბერალურ იმპერიაში" მოქცევის ნაცების გეგმას.

თუ ეს ნაბიჯი გადაიდგა, მაშინ ბატონი სოსოს განცდა და სიფრთხილე, რომ რკინიგზა და მაგისტრალური გაზსადენი შეიძლება გაიყიდოს რუსეთის ეკონომიკურ სუბიექტებზე, შესაძლოა, სულაც არ იყოს უსაფუძვლო. ამიტომ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომ არ დააზარალოს ჩვენი სტრატეგიული აზერბაიჯანული პარტნიორები, მით უფრო რუსეთის სასარგებლოდ.

"ინტერპრესნიუსი"
კობა ბენდელიანი